

კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?

პარტია „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეების“ ეკონომიკურ სტრატეგიაში პრიორიტეტს წარმოადგენს, საქართველოში შეიქმნას მაქსიმალურად მიმზიდველი გარემო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. მაგალითად, პანდემიის პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა დაახლოებით 42%-ით წინა წლის მონაცემებთან შედარებით. საქსტატის მონაცემებით, 15%-ით არის გაზრდილი სურსათის ფასები, საგრძნობლად შემცირდა დასაქმებულთა ხელფასები და მეტიც, დაგვარგეთ ათეულობით ათასი სამუშაო ადგილი. ამ პირობებში, ჩვენი ხედვით, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ორი ტიპის ეკონომიკური გეგმა: მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

მოკლევადიანი ეკონომიკური გეგმის მიხედვით მაქსიმალურად უნდა შემცირდეს გადასახადები:

- მცირე და საშუალო ბიზნესს უნდა შეუმცირდეს გადასახადები.
- ტექნოლოგიური ბიზნესის მწარმოებელი და მიმწოდებელი კომპანიები მთლიანად უნდა გათავისუფლდნენ საგადასახადო ტვირთისგან.
- დღევანდელი მდგომარეობით, ის კომპანიები, რომელთა წლიური ბრუნვა 100 000 ლარს აღწევს, ავტომატურად ხდებიან დამატებითი ღირებულების გადამხდელეები. ჩვენი გეგმის მიხედვით კი, კომპანიებს მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაეკისროთ დღგ-ს გადახდის ტვირთი, როდესაც მათი ბრუნვა 300 000 ლარს მიაღწევს.

გრძელვადიანი ეკონომიკური გეგმის მიხედვით კი, საქართველოში უნდა შეიქმნას მაქსიმალურად უსაფრთხო საინვესტიციო გარემო და ასევე, უნდა გავზარდოთ დასავლელი პარტნიორების ნდობა, რათა სწორედ საქართველოში დააბანდონ ფული. ამისთვის კი აუცილებელია სამი

მიმართულებით მუშაობა:

- ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს მაღალი დემოკრატიის სტანდარტი.
- გაცხადებული უნდა იყოს პროდასავლური კურსი.
- უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა.

2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?

უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდა პარტია „მოქალაქეების“ ეკონომიკური ხედვის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია, ერთი მხრივ, შეღავათიანი საგადასახადო სისტემის არსებობა და, მეორე მხრივ, ინვესტორებისთვის უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შეთავაზება.

ჩვენი აზრით, დღეს ეს შეუძლებელია, რადგან არცერთ უცხოელ ინვესტორს არ აქვს განცდა, რომ საქართველოში ინვესტიციის დაბანდებისას ექნება შესაბამისი სამართლებრივი დაცვის გარანტიები და მთავრობასთან დაახლოებული რომელიმე პირი არ წაართმევს ბიზნესს. აქედან გამომდინარე, საჭიროა სწრაფი ჩარევა მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესების კუთხით. პირველ ეტაპზე აუცილებელია, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში დროებით ჩამოვიყვანოთ ავტორიტეტული და გამოცდილი საერთაშორისო მოსამართლეები, რომლებიც იქნებიან სრულად დამოუკიდებელი თავიანთ საქმიანობაში. ამით ქვეყანაში შეიქმნება ჯანსაღი საინვესტიციო გარემო. ასევე აუცილებელია შეიქმნას საერთაშორისო არბიტრაჟი, რომელიც უცხოელ ბიზნესმენებს გაუჩენს განცდას, რომ, პრობლემების შექმნის შემთხვევაში, დავას სანდო არბიტრები განიხილავენ. ეს პირველი ეტაპის გადაუდებელი ამოცანაა, სანამ ქართული სასამართლო თავად გაჯანსაღდება ადგილობრივი კადრებით, სანამ სასამართლო ნდობას მოიპოვებს უკვე წლების მანძილზე პოლიტიკისგან თავისუფალი, სამართლიანი გადაწყვეტილებების გამოტანით.

3. გეგმავეთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასამდიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

ჩვენი სოფლის მეურნეობის გეგმის მიხედვით, მაქსიმალურად უნდა შემცირდეს სასურსათო პროდუქტებით იმპორტზე დამოკიდებულება. ამისთვის საჭიროა: ადგილობრივი ქართული პროდუქციის რაოდენობის გაზრდა; ქართული პროდუქციისთვის სათანადო ბაზრის არსებობა - მეურნეს უნდა ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ გაუსადეგელი პროდუქცია არ დარჩება; დარგობრივი, ჩვენთვის კარგად ნაცნობი სამეურნეო კულტურების განვითარება და ბოლომდე ათვისება.

- მოსავლიანობის გაზრდის ხელშეწყობისთვის აუცილებელია სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რაც გულისხმობს სარწყავი სისტემების,

სტიქიისგან დაცვისა და სწრაფად დასამუშავებელი მექანიზმების დანერგვას.

- ქართული პროდუქციის გამოყენების წახალისების მიზნით, სახელმწიფო ინსტიტუტებს (ჯარი, ციხეები, სკოლები და ა.შ.) უნდა დაეკისროთ მხოლოდ ქართული პროდუქციის შესყიდვის ვალდებულება. გარდა ამისა, მოსავლის სრულად ათვისებისთვის გარანტიების შესაქმნელად, უნდა არსებობდეს ე.წ. სოფლის კოოპერატივები, რომლებსაც ექნებათ ურბანულ ცენტრებში არსებული კორპუსის ამხანაგობების სტრუქტურის სახე.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში ისტორიულად გამოცდილ და დახელოვნებულ მეურნეობებს. ამის მაგალითია მევენახეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ღვინის წარმოების 8000-წლიანი გამოცდილება აქვს, ღვინის ექსპორტით მიღებული წლიური შემოსავალი მხოლოდ 250 მილიონი დოლარია, მაშინ როცა ახალი ზელანდიისთვის, სადაც მხოლოდ საუკუნის წინ დაირგო პირველი ვაზი, იგივე მაჩვენებელი 1 200 000 000 დოლარს შეადგენს. ამჟამად კი მთავრობას მეღვინეობა-მევენახეობის დარგის გასავითარებლად სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 0.001% აქვს გამოყოფილი. ეს წილი საგრძნობლად უნდა გაიზარდოს, რათა რაც შეიძლება მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდოთ მსოფლიოს ჩვენი ღვინის მეურნეობის შესახებ. მათ უნდა იცოდნენ, რომ სწორედ აქ, ჩვენს ტერიტორიაზე დაამზადეს მსოფლიოში ყველაზე ძველი ღვინო, როგორც ეს არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა დადასტურებული. გარდა ამისა, სახელმწიფო პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს პროფესიონალი აგრონომების, მეურნეების, მეღვინეების მომრავლება ქვეყანაში, რისთვისაც უწინარესად საუნივერსიტეტო დონეზე უნდა შეიქმნას ამ დარგების სპეციალისტთა მომზადების საფუძველი. მინიმუმ, თელავში არსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა შეეძლოს ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რათა ადგილობრივ მეურნეს აღარ მოუხდეს უცხოელი აგრონომების ჩამოყვანა და დაქირავება.

4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?

პანდემიის პირობებში ყველაზე დიდი ეკონომიკური დარტყმა სწორედ ტურიზმის სფეროს მიაღწა. სწორედ ამიტომ, ტურიზმის სფეროში დასაქმებულებს მაქსიმალურად უნდა გაუზანგრძლივდეთ საგადასახდო შეღავათები, რათა გადასახადებისთვის განკუთვნილი თანხა ბიზნესის, ხელფასების, თანამშრომლების შესანარჩუნებლად გამოიყენონ.

გარდა ამისა, პარტია „მოქალაქეებს“ ტურიზმის გასავითარებლად შემუშავებული აქვს გრძელვადიანი გეგმა, რომელიც ეფუძნება კონცეფციას სახელწოდებით „მემკვიდრეობა გაგვამდიდრებს“. დღეს საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია ათვისებული, მათი მაქსიმალურად გამოყენება კი სერიოზულად

წახალისებს ტურიზმის სფეროს და შესაბამისად, მეტ ეკონომიკურ სარგებელსაც მოუტანს ქვეყანას. მაგალითად, ჩვენი გეგმის მიხედვით სრულად უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საფორტიფიკაციო (ციხესიმაგრეების) ნაგებობების პრივატიზება. დღეს ასეთი ნაგებობების 99% სახელმწიფოს ხელშია და არცერთი არ არის ფუნქციურად სრულად დატვირთული, მათი უმეტესობა მიტოვებულია. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია გორის ციხე, რომელიც ურბანულ ცენტრში მდებარეობს და არანაირი ფუნქცია არ გააჩნია. ამ ნაგებობების პრივატიზების შემთხვევაში ინვესტორს უნდა დაეკისროს მათი რესტავრირებისა და იქ ტურისტული ცენტრების ჩამოყალიბების ვალდებულება. ყოველივე ეს ადგილობრივად - სოფლებში, რეგიონებში - განავითარებს მცირე მეწარმეობას, გააჩენს უამრავ სამუშაო ადგილს და ა.შ.

- ჩვენი გეგმის მიხედვით, უნდა განვითარდეს ღვინის ტურიზმი. არქეოლოგიური კვლევების თანახმად, პირველად საქართველოში დაიწყო ღვინის წარმოება, თუმცა ამის შესახებ მსოფლიოში ბევრმა არ იცის. პირველ რიგში, ამისთვის უნდა შეიქმნას ღვინის მუზეუმი შულავერში, სწორედ იქ, სადაც ეს წიპწის ნარჩენები, პირველი ღვინის მჟავა აღმოაჩინეს.
- უნდა განვითარდეს არქეოლოგიური ტურიზმი, რაც ქვეყნის ეკონომიკას უსათუოდ წაადგება. საქართველოში არსებული არქეოლოგიური ფენების უმეტესობა დღემდე აუთვისებელია. მსოფლიოს წამყვანი არქეოლოგებისთვის/მკვლევრებისთვის ეს იქნება საუკეთესო შესაძლებლობა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, იაფად, სრულიად დაუმუშავებელ გარემოში ჩაატარონ კვლევითი-სასწავლო ღონისძიებები, წამყვანმა აკადემიურმა დაწესებულებებმა კი მეტად ხელმისაწვდომ ფასად დაგეგმონ სავსე პრაქტიკის არქეოლოგიური სწავლებები.

5. გეგმავეთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშეღავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?

პარტია „მოქალაქეები“ მხარს უჭერს საშეღავათო სისტემის დანერგვას, რაც კონკრეტულად გულისხმობს მცირე მეწარმეებისთვის გადასახადების შემცირებას, ტექნოლოგიური სერვისის შემქმნელი/მიმწოდებელი კომპანიების გადასახადებისგან სრულად გათავისუფლებას; პარტიას მიუღებლად მიაჩნია, რამდენიმე თვის შემდეგ ერთჯერადი დახმარებების გაწევა, რაც წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს უფრო შეიცავს.

6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?

ვფიქრობთ, ქვეყანა უნდა მიჰყვეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციებს, რაც საზოგადოებაში ფრთხილად ქცევის წესებს, დისტანციისა და ჰიგიენის დაცვას, პირბადეების ტარებას ითვალისწინებს. თუმცა ჩვენთვის მიუღებელია დაუსაბუთებელი, უარგუმენტო და ლოგიკას მოკლებული რეგულაციები, რომლებიც კომენდანტის საათის, მანქანითა და ტრანსპორტით გადაადგილების უცნაურ წესებს, ქალაქების ლოგიკას მოკლებულ ჩაკეტვას

გულისხმობს.

7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?

პანდემიამ უფრო მკვეთრად გამოაჩინა საქართველოს განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები, კონკრეტულად დაგვანახვა, რომ სკოლების უმრავლესობა არ არის აღჭურვილი არც სათანადო ინფრასტრუქტურით და არც შესაბამისი ტექნიკით. ეს პრობლემა კიდევ უფრო აშკარად ჩანს ქალაქისა და რეგიონის სკოლების შედარებისას. ჩვენი პარტია ზოგადად განათლების სისტემასთან მიმართებითაც ტექნოლოგიებზე ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ჩვენი გეგმით, საქართველოს განათლების სისტემაში უნდა გადმოვიტანოთ ესტონეთის მოდელი - რომლის მიხედვითაც, თანხა მთლიანად მობილიზდება საგანმანათლებლო სივრცეებში (სკოლებში, უნივერსიტეტებში), რომლებიც აღიჭურვება უმაღლესი ტექნოლოგიებით, კომპიუტერული ქსელებით. შედეგად, ქვეყანა შეძლებს საერთაშორისო ტექნოლოგიური პროდუქტების (ბოლტის, სკაიპის) დანერგვას სასწავლო პროცესში და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

საქართველოს კონსტიტუციის დღევანდელი რედაქცია ვერ პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს. იგი უპირველესად ემსახურება ხელისუფლების სხვადასხვა შტოს გავლენების გაძლიერებას და არა სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე შეუძლებელი იქნება ყველა იმ ძირეული რეფორმის გატარება, რომლებიც „მოქალაქეების“ ხედვის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. ძირითადად, ეს ცვლილებები შეეხება მართლმსაჯულების საკითხებს, არსებითად ახალი საარჩევნო სისტემის შექმნას, განათლებას, ადგილობრივი თვითმმართველობების რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, თავდაცვისა და უსაფრთხოების დოქტრინას.

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასამდიერებლად?

მართლმსაჯულების მიმართ ნდობის განმტკიცების მიზნით, პირველ ეტაპზე აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას ავტორიტეტული საერთაშორისო არბიტრაჟი, რომლის უფლებამოსილება უპირატესად ბიზნესდავებზე გავრცელდება, რაც ინვესტორებს მეტ ნდობას გაუჩენს და

ინვესტიციების ზრდას შეუწყობს ხელს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზენაესი სასამართლო უნდა დაკომპლექტდეს კვალიფიციური უცხოელი მოსამართლეებით იმ დრომდე, ვიდრე ისინი საქართველოში სამართლიანობის პრეცედენტს შექმნიან. ასევე აუცილებელია დაიშალოს იუსტიციის საბჭო და მის ნაცვლად შეიქმნას თვისებრივად განსხვავებული, დამოუკიდებელი ორგანო.

3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა პარტია „მოქალაქეების“ ხედვის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს. ამ მხრივ მისასალმებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა, თუმცა ეს ინსტიტუტი არ არის დამოუკიდებელი. კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორს წარადგენს პრემიერი, ამტკიცებს პარლამენტი და ზედამხედველობს პროკურატურა, რაც მას იმავე უსამართლო სისტემის ნაწილად აქცევს. საჭიროა ამ სამსახურის რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ინსპექტორად კანდიდატი უნდა დაინიშნოს ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის შედეგად და არა პრემიერის წარდგინებით. ამ მხრივ კარგი მაგალითია სახალხო დამცველის აპარატი, რომლის ეფექტურ მუშაობასაც სწორედ მისი დამოუკიდებლობა განაპირობებს.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

ქვეყანაში დღეს არსებული საარჩევნო სისტემა არ შეესაბამება საერთაშორისო დემოკრატიულ სტანდარტებს. კერძოდ, არ არის უზრუნველყოფილი მისი პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და საარჩევნო პროცესებში პოლიტიკურ ძალთა თანაბარი ჩართულობა. ჩვენი პარტიის საარჩევნო რეფორმა ითვალისწინებს საარჩევნო ადმინისტრაციის სრულად პარიტეტულ საფუძველზე დაკომპლექტებას და მის საქმიანობაში დიდი თუ მცირე პოლიტიკური ძალების თანაბარ ჩართულობას. ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ცესკოს გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. დღევანდელი ცესკო, ეს არის პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული ორგანო, რომელსაც ძირითადად სახელისუფლებო ძალა მართავს და მის საქმიანობაში მხოლოდ მცირე დოზით მონაწილეობენ მსხვილი ოპოზიციური პარტიები. ამავდროულად, საერთოდ არ არის გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობის ჩართულობა საარჩევნო პროცესებში, რაც ხელს უშლის ქვეყანაში პლურალისტური დემოკრატიის განვითარებას.

5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

„მოქალაქეები“ განათლების სისტემაში იმ პრობლემებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომელთა მოგვარება მხოლოდ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, შესაბამისად, შედეგსაც შეიძლება სწრაფად მივაღწიოთ.

- თუკი რამემ დააზიანა განათლების სისტემა, უპირველეს ყოვლისა, რეფორმების სწრაფად გატარებამ, რაც მთავრობიდან მთავრობამდე ფუნდამენტურ ცვლილებებს

გულისხმობს. საჭიროა ერთიანი გრძელვადიანი საყოველთაო კონსენსუსის საფუძველზე ჩამოყალიბდეს დოკუმენტი, რომელიც იმოქმედებს ხელისუფლების ცვლილებების მიუხედავად.

- გარდა ამისა, „მოქალაქეებს“ თანამედროვე განათლების სისტემის ყველაზე დიდ ამოცანად მიაჩნიათ მთლიანად სისტემის, განსაკუთრებით სკოლების დეპოლიტიზების საკითხი. საქართველოში აბსოლუტურად საკმარისი რაოდენობის სკოლები გვაქვს, ასევე საკმარისზე მეტი მასწავლებელი გვყავს (საქართველოში ერთ მასწავლებელზე მოდის 9 მოსწავლე, როცა საფრანგეთში ეს მაჩვენებელი 18-ია, მეზობელ ქვეყნებში - 15 და ა.შ.). განათლების სამინისტროსა, სხვა სამინისტროებთან შედარებით, გაცილებით მაღალი ბიუჯეტი აქვს, მასწავლებლის ხელფასი ბოლო წლებთან შედარებით გაუმჯობესდა, თუმცა, ამის მიუხედავად, სკოლები ვერ უზრუნველყოფენ ხარისხიანი განათლების მიწოდებას. ჩვენი აზრით, პრობლემის ფუნდამენტური მიზეზი ის არის, რომ დღეს მასწავლებლის შრომა არ ფასდება იმის მიხედვით, თუ რა ასწავლეს მათ ბავშვებს. სამწუხაროდ, მასწავლებლის ინსტიტუტი დღემდე მმართველი პარტიების მხრიდან აღიქმება, როგორც ადმინისტრაციული რესურსი, ამიტომაც გადაუდებელი ამოცანაა სკოლების სრული დეპოლიტიზება.
- რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, უნივერსიტეტებში უნდა გაძლიერდეს პროფესიული მიმართულებების - აგროსპეციალობების აკადემიურ დონეზე ინტერდისციპლინური სწავლებები. დღეის მდგომარეობით, უმაღლეს სასწავლებელს სტუდენტთა უდიდესი ნაწილი ამთავრებს, თუმცა მათი მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობს სათანადო პროფესიულ უნარ-ჩვევებს, მეტიც, უმრავლესობა საერთოდ ვერ ახერხებს სპეციალობით დასაქმებას. დღეს საქართველოში მხოლოდ ერთი უნივერსიტეტი ასწავლის აგროსპეციალობას, მაშინ როდესაც თელავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ახალციხის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, თითქმის ყველგან, ისწავლება იურისპრუდენცია და არ ისწავლება ადგილობრივ მეურნეობაზე მორგებული არცერთი დისციპლინა. შედეგად, ქვეყანას უწევს უცხოელი ექსპერტების, ინჟინრების, აგროტექნოლოგების დაქირავება. ამ დისციპლინების განვითარებით კი შევძლებთ სწორედ იმ პროფესიის ხალხი გვყავდეს ქვეყანაში, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა შრომით ბაზარზე.

6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.

პარტია „მოქალაქეების“ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად 2024 წელს მშპ 80 მლრდ ლარს გადააჭარბებს. გაიზრდება სამუშაო ადგილები, შემცირდება სიღარიბის მაჩვენებელი, მოიმატებს უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რაც ხელს შეუწყობს ლარის კურსის გამყარებას. ჩვენი ეკონომიკური გეგმა ითვალისწინებს ექსპორტის ზრდას, შიდა პროდუქციის წარმოებას, ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობასა და კულტურული მემკვიდრეობის სრულად ათვისებას.

7. დაასახელოთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა

პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.

პარტია „მოქალაქეები“ მხარს უჭერს მცირე მთავრობის მოდელს. ჩვენი პოლიტიკა მიმართული და ორიენტირებული იქნება საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიან ხარჯვაზე, რაც განაპირობებს სახელმწიფო ხარჯების შემცირებას. ჩვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით შეადგენს არაუმეტეს 18%-ს. შემცირების პროპორციული დინამიკა უნდა შენარჩუნდეს.

8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?

საქართველოში მთავრობის ვალის ზედა ზღვარს ადგენს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 60%-ს. პარტია „მოქალაქეების“ მიზანია ეტაპობრივად შემცირდეს სახელმწიფო ვალი, რაც მოკლევადიან პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 30%-ს.

9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?

პარტია „მოქალაქეები“ მხარს უჭერს მცირე მთავრობის იდეის კონცეფციას, რომელიც გულისხმობს როგორც სამინისტროების რაოდენობის, ისე ცალკეული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სსიპ-ების და მათი ხარჯების შემცირებას. ჩვენი გეგმის მიხედვით, გაუქმდება ან გაერთიანდება ყველა არამიზნობრივი, მკაფიო ფუნქციების არმქონე სსიპი.

საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

პარტია „მოქალაქეების“ ხედვით, უნდა მივაღწიოთ არა მხოლოდ ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობას, არამედ ხარისხიან ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობას. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ხალხის ფული თუკი რაიმეს უნდა ხმარდებოდეს, ეს უპირველეს ყოვლისა, ხალხისავე ჯანმრთელობაა. საქართველოში ჯანმრთელობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ქვეყნის ნებისმიერ წერტილში. ამისთვის სახელმწიფო უნდა გამოვიდეს ამ სფეროდან, როგორც სერვისის მიმწოდებელი და უნდა უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა და ხარისხი. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება საუნივერსიტეტო კლინიკებს. სამწუხაროდ, ჯანდაცვა თავად დასაცავია კანონმდებლობით. გაუაზრებელმა, არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ ეს სფერო ძალიან დააზიანა, ამიტომაც ჯანდაცვის რეფორმაც უნდა იყოს საყოველთაო კონსენსუსის შედეგი და გათვლილი მაქსიმალურად გრძელვადიან პერსპექტივაზე, რათა ყოველი არჩევნების წინ პოლიტიკურმა პარტიებმა ისევ არ გააგრძელონ ჩვენთან ვაჭრობა ჩვენივე ჯანმრთელობით. ხარისხის უზრუნველსაყოფად ექიმებს, კლინიკის დამაარსებლებს უნდა დაეკისროთ შესაბამისი პასუხისმგებლობა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ისეთი პირველადი, ხარისხიანი ჯანდაცვის რგოლის შექმნას, რომელიც პაციენტს მხოლოდ მას შემდეგ გაგზავნის ხანგრძლივ

სტაციონარულ მომსახურებაზე, რაც ყველანაირ ამბოლატორიულ და თერაპიულ შესაძლებლობებს ამოწურავს.

2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

სოციალური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, პარტია „მოქალაქეები“ მხარს უჭერს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების მხოლოდ მიზნობრივად განაწილებას. ჩვენთვის მიუღებელია, ნებისმიერი ტიპის შემოსავლის მქონე ადამიანისთვის ჯანდაცვისა და სოციალური უსაფრთხოების ერთი და იმავე პაკეტის შეთავაზება. ჩვენ ეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვად მიგვაჩნია. ჯანდაცვის ხარისხიანი პაკეტი სახელმწიფომ უნდა შესთავაზოს ყველა მოწყვლად ჯგუფს, ვისაც ამის დამოუკიდებლად დაფინანსების შესაძლებლობა არ გააჩნია, თუმცა მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირება არ უნდა მოხდეს ხარისხის შემცირების ხარჯზე, პაკეტი უნდა ფარავდეს ყველა მაღალი ხარისხის ჯანდაცვის მომსახურების საფასურს. რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს, ამის კლასიფიკაცია აუცილებელია მაქსიმალურად გამჭვირვალედ და ობიექტურად. ყველა, ვინც ამ კატეგორიაში მოხვედრის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, შეფერხებებისა და ბიუროკრატიის გარეშე უნდა იღებდეს დახმარებას. და გარდა ამისა, სოციალურად დაუცველებს არ უნდა მოეხსნათ დახმარება ნებისმიერი თანხის, გასამრჯელოს ალების მიუხედავად უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში, რათა ამით საშუალება მივცეთ მათ დაძლიონ სიღარიბე. თუკი გარკვეული თანხის ან სამსახურის დაწყების შემთხვევაში სახელმწიფო აღარ გასცემს სოციალურ დახმარებას, ამ შემთხვევაში მოქალაქეებს ვუბიძგებთ, სოციალური დახმარების დაკარგვის შიშით უარი თქვან დასაქმებაზე და დარჩნენ სიღარიბეში.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

ყველა იძულებით გადაადგილებული პირი სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართით. იძულებით გადაადგილებულ პირებს სახელმწიფომ ასევე დროულად უნდა დაურეგისტროს საკუთრებაში ის ფართი, რომელიც მათ თვითნებურად დაიკავეს. ამ საკითხის განხილვისას არსებითია დროის ფაქტორი და დროული რეაგირება, რათა თავიდან ავიცილოთ დევნილებით მანიპულირების მცდელობა წინასაარჩევნოდ, რასაც ხშირად მიმართავენ ხოლმე მმართველი პარტიები.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

ჩვენი ხედვით, საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებას ყველაზე მეტად სახელმწიფო ენის არცოდნა აფერხებს. სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის გაძლიერებული სწავლება. შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს ინფორმაციის, განათლების მიღებას ქართულ ენაზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან მათ ინტეგრირებას.

გარდა ამისა, სახელმწიფო ყველა მოქალაქეს, უმცირესობის ნებისმიერ წარმომადგენელს აბსოლუტურად თანაბრად უნდა უდგებოდეს. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა სახელმწიფო სათანადოდ არ რეაგირებს უმცირესობათა დისკრიმინაციის ფაქტზე, ხშირად უგულბებლყოფს კიდევ მას. ჩვენი აზრით, უნდა გამკაცრდეს სადამსჯელო ღონისძიებები ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის დროს გამოჩენილი გულგრილობისთვის.

5. პარლამენტაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), როლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.

ჩვენი პარტია მიესალმება ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა მიხედვითაც პარტიებს მოუწევთ საარჩევნო სიების გენდერულად დაბალანსება და ასევე ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში ფინანსური სარგებლის მოპოვება. თუმცა, ამავდროულად, ვხედავთ საფრთხესაც - არ არის გამორიცხული, ამ ცვლილების გამო პოლიტიკოს ქალებს მოუწიოთ თავის მართლება და იმის მტკიცება, რომ პოლიტიკაში ყოფნა დაიმსახურეს თავიანთი შესაძლებლობების, კვალიფიკაციის შესაბამისად, და არა იმიტომ, რომ ქალები არიან; არც იმას გამოვრიცხავთ, რომ საკანონმდებლო ორგანოში შეიძლება გვყავდეს ბევრი პარლამენტარი ქალი, რომელთაც პარტიები მხოლოდ ბუტაფორიად გამოიყენებენ. ყოველივე ამის თავიდან აცილების მიზნით, უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, პარალელურად დაიწყოს აქტიური სოციალური კამპანია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ქალთა წარმომადგენლობის აუცილებლობისა და მათი როლის გააქტიურების შესახებ, რათა ქალები სრულფასოვნად, სრული უფლებამოსილებით ჩაერთონ აქტიურ პოლიტიკურ პროცესში.

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

ბავშვთა უფლებები არის ფუნდამენტური საკითხი, რასაც „მოქალაქეების“ დიდი ძალისხმევა მოხმარდება. კერძოდ, უნდა შეიქმნას ბავშვთა უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმები და მათი რეალიზების პირობები ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბოლო პერიოდში შესამჩნევად არის გაზრდილი ოჯახური დანაშაული ბავშვთა მიმართ და ბავშვების თანდასწრებით, ასევე გახშირებულია ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევები. დღემდე გადაუჭრელ პრობლემად მიგვაჩნია ის, რომ ბავშვების დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება ხარისხიან განათლებაზე, რაც მათ ნორმალურ განვითარებას აფერხებს. ამ მხრივ წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ბავშვთა უფლებების კოდექსი, მაგრამ ეს კანონი იმდენად ხარვეზიანია, საფუძვლიან ცვლილებებს საჭიროებს. უნდა შეიცვალოს ამ კანონის მიდგომა ოჯახში ბავშვის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ბავშვის განათლების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიებზე წვდომის კუთხით. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს სოციალური მუშაკების როლი, ბავშვის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მშობლების უფლებები და მათი სამართლიანი თანამონაწილეობა.

7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

კულტურის პოლიტიკის სწორად წარმართვის შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყანამ დიდი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს. ჩვენი გეგმის მიხედვით, აუცილებელია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული თითოეული კულტურული ძეგლის პრივატიზება, რა თქმა უნდა, სპეციალური პირობების წაყენებით, რაც მათ რესტავრირებასა და ტურისტულ ატრაქციონად ქცევას ითვალისწინებს. მსგავსი ტიპის ღონისძიებებით არაერთ რეგიონში განვითარდება ადგილობრივი მცირე მეწარმეობა, შეიქმნება ტურისტული ატრაქციონები და გაიზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა.

8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია:

- განახლებადი ენერგორესურსების მხარდაჭერა - აუცილებელია განახლებადი (მზის და ქარის) ენერჯის რესურსის მაქსიმალურად ათვისება და გამოყენება, ამის წასახალისებლად კი - გადასახადების შემცირება და წარმოების ხელშეწყობა.
- ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა - მნიშვნელოვანია აგრარულ სფეროში დასაქმებულთა გადამზადება და ახალი კადრების მომზადება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით. ასევე აღნიშნული წარმოების ხელშეწყობა საგადასახადო შეღავათების დაწესებით.
- ეროზიის და ურბანულ სივრცეებში ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებლის შემცირება, მწვანე საფრის გამრავალფეროვნება - ურბანულ სივრცეებში მეტი სიმწვანის უზრუნველყოფა, ხეების და ბუჩქნარის დარგვა. ასევე, ეროზიული პროცესების შესასუსტებლად განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი ხე-მცენარეების გაშენება.

9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?

ქვეყნის მასშტაბით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიწყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებითა და ხელშეწყობით. დღეს მხოლოდ ბათუმსა და თბილისში მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი, დანარჩენ რეგიონებში მოსახლეობა მხოლოდ კერძო სამარშუტო ტაქსებით გადაადგილდება. პირველ ეტაპზე კერძო სამარშუტო ტაქსები სრულად უნდა ჩანაცვლდეს ტექნიკურად გამართული ავტობუსებით, მთლიანად უნდა განახლდეს ავტობუსების ავტოპარკი, ხოლო თბილისში მეტროს უნდა დაემატოს ვაგონები. ეს ყველაფერი შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამტარუნარიანობა ისე, რომ მოქალაქეებმა კომფორტულად იმგზავრონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეიზღუდოს კერძო ავტომობილების გადაადგილება, რის შედეგადაც ბევრი მგზავრი კერძო ავტომობილს საზოგადოებრივ ტრანსპორტს ამჯობინებს. ამით ცალსახად მოგვარდება ქალაქში საცობების პრობლემა.

10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?

პარტია „მოქალაქეების“ დაარსებამდე მისი ძირითადი გუნდი სწორედ არასამთავრობო სექტორში საქმიანობდა და ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამოქალაქო სექტორის ჩართულობას პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაში. ჩვენ, როგორც პოლიტიკური გუნდი, მხარს ვუჭერთ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩართვას საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში, როგორც პარლამენტის დონეზე, ისე ადგილობრივ საკრებულოებში, მონაწილეობას კანონპროექტის შემუშავებასა და ინიცირებაში, დასწრებას ყველა საკომიტეტო სამუშაო შეხვედრაზე.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?

პარტია „მოქალაქეებს“ გვაქვს გაცხადებული პროდასავლური პოლიტიკური კურსი. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. პარტიის მკაფიო პოზიციაა, ზედმიწევნით შევასრულოთ ევროკავშირის რეკომენდაციები, შევქმნათ შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტები და მივიღოთ ამ რეკომენდაციების შესატყვისი კანონმდებლობა.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

მთავარ სამხედრო-სტრატეგიულ პარტნიორად მიგვაჩნია აშშ და NATO-ს ბლოკი; ასევე მნიშვნელოვანია ურთიერთობის გაღრმავება მეგობარ ქვეყნებთანაც (მაგალითად, უკრაინასთან, სამხრეთ კორეასთან). ამ მიზნით, ჩავატარებთ მეტ ერთობლივ წვრთნას, ინტენსიურს გავხდით გაცვლით პროგრამებს და შეიარაღება-ტექნიკა ეტაპობრივად გადავა დასავლურ სისტემებზე.

NATO-ში გაწევრიანებამდე, სასურველად მიგვაჩნია ამ ბლოკში შემავალი ქვეყნების შეიარაღებული ძალების გარკვეული კონტინგენტის მუდმივი დისლოცირება ჩვენს ტერიტორიაზე ერთობლივი პროგრამების რეალიზაციის მიზნით; ვიმუშავებთ აშშ-ის მიერ საქართველოსთვის ნატოს გარეთა მოკავშირის სტატუსის მინიჭებაზე.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

პარტია „მოქალაქეები“ სრულად მხარს უჭერს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ყველა პუნქტის აღსრულებას. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების თავისუფლებისა და უსაფრთხოების ნაწილი, ყველა ამ პრინციპის შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. უმნიშვნელოვანესად

მიგვაჩნია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის საკითხიც, რადგან სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი საქართველოში ადგილობრივი პროდუქციის სათანადო ხარისხის წარმოების უზრუნველყოფა, უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს და ჯანსაღი, კონკურენტული ბაზრის შექმნა.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

სამხრეთ კავკასიაში ნეიტრალური პოლიტიკის გატარება (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის კონტექსტში), შავი ზღვის აუზში ეკონომიკური და სხვა ტიპის ურთიერთობების გაღრმავება, ტურისტების მოზიდვა და ა.შ.

ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა

1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

აშშ-ის და NATO-ს დახმარებით ძლიერი საგარეო ფარის შექმნა და ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მაქსიმალურად გაძლიერება - ეს არის ორი საყრდენი, რასაც ეფუძნება ჩვენი სტრატეგიული ხედვა.

2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?

თავდაცვის საკითხებზე შევიმუშავეთ ჩვენი კონცეფცია სახელწოდებით „მომავლის არმია“. მის 200-მდე პუნქტში დეტალურად ჩამოვაცალიბეთ ჩვენი პოზიცია და ძირითადი პრინციპები:

- საპარლამენტო პარტიებმა უნდა გააფორმონ „თავდაცვის აქტი“, ანუ თავდაცვის ძალების განვითარების 8-წლიანი შეთანხმებული ხედვა, რომელსაც ვერცერთი პარტია ან დარგობრივი მინისტრი ვეღარ შეცვლის თვითნებურად და რასაც დაეფუძნება თავდაცვის კონკრეტული გეგმები. შედეგად, თავდაცვის სისტემა გახდება მდგრადი, ლოგიკური, სამართლიანი, უკეთ დაფინანსებული და შედეგზე ორიენტირებული.
- მაქსიმალურად ინტენსიური უნდა გახდეს ჯარების საბრძოლო მომზადების პროცესი, უნდა შემუშავდეს კონკრეტული რაიონების დაცვის დეტალური გეგმები, რეგულარული არმიის, რეზერვისტთა და მოხალისეთა დანაყოფების გამოყენებით.
- მოქალაქეები ფართოდ უნდა ჩაებან თავდაცვის ძალების სარეზერვო კომპონენტებში. მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება, გახდეს თავდაცვის ძალების წევრი. უნდა შეიქმნას მოხალისეთა „თავდაცვის ლიგა“, მთელ ქვეყანაში გაიშალოს ახალგაზრდული ლეგიონის საქმიანობა და მკვეთრად გაიზარდოს სამობილიზაციო შესაძლებლობები. უნდა დაარსდეს ღია სასროლეტები და მსროლელთა კლუბები, ამაღლდეს იარაღის კულტურა ხალხში.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

საქართველო უნდა იქცეს დემოკრატიულ, სამართლიან, განათლებულ, წელგამართულ, არაკრიმინალურ და ეროვნული ინტერესების დამცველ, - ანუ მიმზიდველ ქვეყნად. რეგიონის ლიდერად ჩამოყალიბება, რომელიც დასავლურ სისტემაშია ინტეგრირებული და ძლიერი უსაფრთხოების სისტემები აქვს, შექმნის წინაპირობას საქართველოს ინტერესების დასაცავად დროებით ოკუპირებულ რეგიონებში. ამ მიზნით საჭიროა ურთიერთობების ეტაპობრივი გაღრმავება ადამიანებს შორის, მათთვის რუსეთზე უკეთესი პირობებისა და უსაფრთხო გარემოს შეთავაზება ერთიანი, ძლიერი და საცხოვრებლად მიმზიდველი სახელმწიფოს ფარგლებში, სადაც დაცული იქნება ყველას ინტერესი გონივრული ურთიერთდათმობის საფუძველზე.

4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?

„მცოცავი ოკუპაციის“ შესაჩერებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულმა დანაყოფებმა მკაცრად უნდა გააკონტროლონ ფრონტისპირა სექტორის მთელი პერიმეტრი. ამისთვის საჭიროა შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დანაყოფების, რეორგანიზაცია და მათი გაძლიერება როგორც პირადი შემადგენლობით, ისე მომზადების დონის ამაღლებითა და შეიარაღება-აღჭურვილობის კუთხით. თუ დასახულ ამოცანას თავს გავართმევთ, გარანტირებულად შეწყდება ადამიანების გატაცება და მიწების თავზედური მიტაცება.